საქართველოში
რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევა

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი
მისამართი: თბილისი 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 11, IV სადარბაზო, II სართული, ბ. 38
ტელ: (+995 32) 2 22 35 76; ელ-ფოსტა: info@tdi.ge, tdigeorgia@gmail.com

საკონტაქტო პირი (თბილისი):

შოთა თუთბერიძე, იურისტი
ტელ: (+995 32) 2 22 35 76
მობ: (+995) 574 10 81 23;
ელ-ფოსტა: shota.tutberidze@tdi.ge

საკონტაქტო პირი (ბათუმი):

გვანცა ლომაია, იურისტი
ტელ: 0 422 222 803
მობ: (+995) 598 49 29 83;
ელ-ფოსტა: gvantsa.lomaia@tdi.ge
მისამართი: ბათუმი 6010, გორგასლის 1 , ბ. 1;
„ქართველ მუსლიმთა კავშირის“ ოფისი

ეკატერინე ჭითანავა
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი
მობ: (+995) 593 161 444; ელ-ფოსტა: echitanava@tdi.ge, echitanava@gmail.com

მარიამ კვარაცხელია
პროექტის ასისტენტი
ელ-ფოსტა: mari.kvaratskhelia@tdi.ge

ბროშურის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). ის არ ასახავს USAID, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

© 2016, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ჩვენ შესახებ

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2013 წლიდან აქტიურად მუშაობს რელიგიის თავისუფლების დაცვის, ტოლერანტობის კულტურის განვითარების, უმცირესობების უფლებების დაცვისა და ადვოკატირების მიმართულებით; ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის კვლევასა და ანალიზს; საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებსა და პროექტებს, ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგის, სეკულარული სახელმწიფოს იდეის დაცვასა და გავრცელებას;

საქართველოში რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევა

2016 წლის იანვრიდან, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) პროექტის ფარგლებში“, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ს განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ, TDI ახორციელებს 14-თვიან პროექტს, საქართველოში რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევა.

პროექტი მიზნად ისახავს, რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი ჯგუფებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას/

სტრატეგიული სამართალწარმოების უზრუნველყოფას, დისკრიმინაციულ საფუძველზე მათი უფლებების დარღვევის აღმოფხვრასა და, უფასოდ, ყველა ტიპის (სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის) საქმეზე, სრული სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფას. პროექტის მიზანია ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

პროექტში TDI-ის პარტნიორები არიან: „ქართველ მუსლიმთა კავშირი", ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიასთან არსებული ჰუმანიტარული ასოციაცია „ბეთელი" და ორგანიზაცია „რელიგიები მშვიდობისთვის".

უმცირესობათა წარმომადგენელებს დახმარებას გაუწევენ იურისტები თბილისსა და აჭარის რეგიონში.

რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა უფასო სამართლებრივი დახმარება

დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელიც გარანტირებულია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით.

დისკრიმინაცია, ანუ, არსებითად თანასწორი პირებისადმი უთანასწორო მოპყრობა ან არსებითად უთანასწორო პირებისადმი თანასწორი მოპყრობა და, ამგვარად, რაიმე სახის უპირატესობის მინიჭება

ან, პირიქით, – შეზღუდვა, არის თანასწორობის პრინციპის აშკარა და გაუმართლებელი დარღვევა.

თუ ფიქრობთ, რომ დისკრიმინაციულად დაირღვა თქვენი რომელიმე უფლება, **რელიგიური, ეთნიკური ან/და რასობრივი კუთვნილების გამო,**

მაგალითად:

- პრობლემა გექმნებათ თქვენი რელიგიის, ეთნოსის ან/და რასის საჯაროდ გაცხადებისას;
- ილახება თქვენი პატივი ან/და ღირსება, თქვენი მრწამსის ან/და ეთნოსის, რასობრივი კუთვნილების გამო;
- ხელი გეშლებათ, შეიკრიბოთ საჯაროდ;
- ადმინისტრაციული ორგანოები, მათ შორის, პოლიცია, არ არის ნეიტრალური კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას ან/და თავს იკავებს თქვენ წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისგან;
- თქვენ მიმართ, ნებისმიერი ტიპის სამართალდარღვევის პასუხად, გამოყენებულია სანქციის (სასჯელის) შეუფერებლად მკაცრი სახე ან ირღვევა თქვენი საპროცესო უფლებები საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე;
- ეთნოსის ან/და რასობრივი კუთვნილების გამო, ფერხდება თქვენთვის ნებისმიერი სახის ბინადრობის ნებართვის გაცემა;
- ხელი გეშლებათ რელიგიური ან სხვა რიტუალის ჩატარებაში, მარტო ან სხვებთან ერთად;
- ვერ ახერხებთ საკულტო-რელიგიური ნაგებობის აშენებას;

- თქვენ მიმართ ხორციელდება რაიმე ტიპის (ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური) ზეწოლა;
- თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს ან ნაცნობს, საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სკოლა, უნივერსიტეტი, პროფესიული სასწავლებელი, საბავშვო ბაღი) განსხვავებულად ეპყრობიან რელიგიური, ეთნიკური ან/და რასობრივი კუთვნილების გამო; პირდაპირ ან ირიბად აიძულებენ მონაწილეობა მიიღოს რელიგიური რიტუალის შესრულებაში (ლოცვა, მსვლელობა, ღონისძიება).
- პრობლემები გექმნებათ დამსაქმებელთან (სამსახურში) ან უარი გეთქვათ სამსახურზე თქვენი რელიგიური აღმსარებლობის, ეროვნული, ეთნიკური ან/და რასობრივი კუთვნილების გამო;
- პრობლემები გექმნებათ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთისას (გაყოვნებენ გაუმართლებლად დიდი დროით, არ გიხსნიან დაყოვნების მიზეზს, არღვევენ ჩხრეკის სტანდარტებს და სხვა); დაბრკოლებები გექმნებათ რელიგიური ლიტერატურის საზღვარზე გადმოტანისას;
- ვერ იღებთ სრულფასოვან მონაწილეობას სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში;

ან, შეილახა რომელიმე სხვა, კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საკანონმდებლო აქტებით გარანტირებული უფლება და ეჭვობთ, რომ ამ უფლებ(ებ)ის დარღვევა **თქვენს რელიგიურ აღმსარებლობასთან, რწმენასთან, ეთნიკურ, ეროვნულ ან რასობრივ კუთვნილებასთან, ან კანის ფერთანაა დაკავშირებული; თუ მიგაჩნიათ, რომ გეპყრობიან უთანასწოროდ,**

შეგიძლიათ, მოგვმართოთ, „ტოლერანტობისა და მრავალფეროვ-ნების ინსტიტუტს“ (TDI), რომლის იურისტებიც კონსულტაციისა და ადვოკატირების გზით, უფასოდ იზრუნებენ თქვენი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან, ადმინის-ტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში.